



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 86

2016 წლის 11 მაისი

ქ. თბილისი

„2016 წლის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 25 აპრილის N79 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ლოლიტა შენგელიას სამსახურებრივი ბარათის (N493853, 11.05.2016) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2016 წლის უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 25 აპრილის N79 ბრძანების დანართი ერთით დამტკიცებულ კონკურსის პირობებში და პირობებში:

ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) არანაკლებ 1 ახალგაზრდა მკვლევარი - პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წლისა, ან დოქტორანტი, ან მაგისტრი, ან მაგისტრანტი, ან რეზიდენტურის სტუდენტი. კონკურსის გამოცხადების მომენტისთვის მაგისტრის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 35 წელს.“;

ბ) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ განხილული იქნება ინგლისურ ენაზე შევსებული დოკუმენტაცია. საპროექტო წინადადების ინგლისური ვერსიის გვერდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 7 გვერდს (დანართი №3), ხოლო საპროექტო წინადადების (დანართი №3), პროექტის საერთო ბიუჯეტის/ფონდიდან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების (დანართი №5) და პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის (დანართი №6) ინგლისური ვერსია ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 17 გვერდს.“

2. დავალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი